

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

რეგლამენტი

თავი I.

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდეგში – „უნივერსიტეტი“) აკადემიური საბჭო (შემდეგში – „აკადემიური საბჭო“) არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას და ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას;
2. ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ლიცენზიის მოპოვებისა და აკრედიტაციის გავლის მიზნით განხორციელებულ საქმიანობას;
3. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი, გარდა ასისტენტ-პროფესორისა;
4. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობას;
5. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ;
6. აკადემიური საბჭო მართვას ახორციელებს შემდეგი პრინციპების დაცვით:
 - მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის;
 - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება;
 - თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

_ არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსის საჯაროობა;

7. აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტის შესაბამისად;

8. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს, პროცედურას და სავალდებულოა ყველა წევრისათვის;

9. აკადემიური საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის რეგლამენტით, აკადემიური საბჭო წყვეტს დადგენილებით;

10. აკადემიურ საბჭოს აქვს ბეჭედი და ბლანკი წარწერით: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო“;

11. აკადემიური საბჭოს ადგილსამყოფელია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი, თბილისი, კოსტავას ქ.#77.

თავი II.

აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

12. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – სტუ-ს რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები;

13. აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს ორ-ორი წარმომადგენელი;

14. აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება სტუ-ში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი; 3

15. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ შემთხვევებში.

თავი III.

აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

16. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს სამდივნო. სამდივნო შედგება აკადემიური საბჭოს მდივნისა და მისი თანაშემწისაგან;

17. აკადემიური საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას;

18. აკადემიური საბჭოს მდივანს (აკადემიური საბჭოს სამდივნოს ხელმძღვა-ნელს), აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

თავი IV.

აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

19. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს საქმიანობა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი რეგლამენტის შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ) ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას; 4

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;

ე) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს კონკურსის საფუძველზე შერჩეულ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ვ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

ვ1) საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად პირის დანიშვნის შესახებ;

ზ) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;

თ) მონაწილეობს წარმომადგენლობით საბჭოში წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის განხილვაში;

ი) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

კ) ადგენს სხვა უმაღლესი სასწავლებლის მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის, აგრეთვე უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების ცნობის წესს;

ლ) ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოების დებულებებს;

მ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ნ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ო) განსაზღვრავს აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის დამატებით პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

პ) განსაზღვრავს პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ჟ) წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

რ) რექტორისა და ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;

ს) ირჩევს სტუ-ს ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) ხელმძღვანელს;

ტ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

- უ) განიხილავს სტუ-ს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
- ფ) ისმენს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშს;
- ქ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;
- ღ) აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება წყდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ზედიზედ 2-ჯერ გაუვლელი შემთხვევაში.

თავი V.

აკადემიური საბჭოს კომისიები

- 20. აკადემიური საბჭო მოქმედი კანონმდებლობითა და სტუ-ს წესდებით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, ქმნის მუდმივმოქმედ და/ან დროებით კომისიებს. საჭიროების შემთხვევაში, დროებითი კომისიის შექმნის უფლება აქვს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – უნივერსიტეტის რექტორს (რექტორის მოვალეობის შემსრულებელს);
- 21. კომისიის შემადგენლობაში შედიან აკადემიური საბჭოს წევრები. საჭიროების შემთხვევაში კომისიის შემადგენლობაში სამუშაოდ შეიძლება მოწვეულ იქნეს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი/ექსპერტი;
- 22. კომისია აშაადებს საკითხებს და განსახილველად გამოაქვს აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

თავი VI.

აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველად საკითხის

რეგისტრაციის, მომზადებისა და შეტანის წესები

- 23. აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ განაცხადი, როგორც წესი, უნდა შევიდეს აკადემიური საბჭოს სამდივნოში წერილობითი ფორმით;
- 24. აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ განაცხადი, დადგენილების პროექტთან ერთად, როგორც წესი, აკადემიური საბჭოს სამდივნოში უნდა შევიდეს უახლოეს სხდომამდე არა უგვიანეს ხუთი დღით ადრე წერილობითი ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი განხილვა საბჭოს უახლოეს სხდომაზე არ შედგება;

25. აკადემიური საბჭოს სამდივნოში ხდება შემოსული განაცხადის რეგისტრაცია და 3 დღის ვადაში შემომტანს ეცნობება (ელექტრონული ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით) მიღებულია თუ არა მისი განაცხადი განსახილველად;

26. განსახილველად მიღებული განაცხადი აკადემიური საბჭოს მდივანს, საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შეაქვს სხდომის დღის წესრიგში ან გადასცემს აკადემიური საბჭოს შესაბამის კომისიას, საბჭოს ერთ ან რამდენიმე წევრს ან შესაბამის სამსახურს საკითხის საბჭოს

სხდომაზე განსახილველად მომზადების მიზნით, რის შესახებაც, მინიმუმ ერთი დღით ადრე, უნდა ეცნობოს განმცხადებელს;

27. აკადემიური საბჭოს წევრებს სხდომის ჩატარებამდე მინიმუმ ორი დღით ადრე, წინასწარი გაცნობის მიზნით, დაეგზავნებათ საბჭოს Dდღის წესრიგი და საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე – განსახილველი საკითხების ელექტრო-ვერსია;

28. კომისიამ, საბჭოს წევრმა (წევრებმა) ან შესაბამის სამსახურმა, რომელსაც დაევალა საკითხის შესწავლა და მომზადება, დასკვნა უნდა მოამზადოს წერილობით, რომელიც განხილვამდე დაეგზავნებათ საბჭოს წევრებს;

29. აკადემიურისაბჭოს სხდომაზე განსახილველად გამოტანილ საკითხზე პასუხისმგებლობა აკადემიური საბჭოს წინაშე ეკისრება კომისიას, საბჭოს წევრს ან შესაბამის სამსახურს.

თავი VII.

დღის წესრიგი

30. აკადემიური საბჭოს მდივანი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს საბჭოს მომავალ სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას – დღის წესრიგის პროექტს;

31. დღის წესრიგში განსახილველი საკითხის დამატების ინიციატივის უფლება აქვს აკადემიური საბჭოს წევრს, თუ იგი სხდომის ჩატარებამდე 2 დღით ადრე აკადემიური საბჭოს სამდივნოს და აკადემიური საბჭოს წევრებს წერილობით წარუდგენს ინფორმაციას განსახილველი საკითხის შესახებ;

32. დღის წესრიგის დამტკიცება ხდება აკადემიური საბჭოს შესაბამისი სხდომის დაწყებისთანავე, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით.

თავი VIII.

აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

33. აკადემიური საბჭოს სხდომებს, როგორც წესი, თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი (აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული რექტორის მოვალეობის შემსრულებელი);
34. რექტორის ან მისი მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს მისი ერთ-ერთი წევრი, რომლის არჩევაც ხდება საბჭოს მიერ, ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;
35. აკადემიური საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ორჯერ, ყოველი თვის მეორე და მეოთხე კვირის ოთხშაბათს, 16 საათზე;
36. აკადემიური საბჭოს სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის ან წევრთა 1/3 -ის მოთხოვნით;
37. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
38. კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით;
39. აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ცალკეული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, საბჭოს წევრების გარდა შესაძლებელია მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხდომის დღის წესრიგის საკითხთან;
- 39¹. სხდომის დღის წესრიგის მიხედვით აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოწვეულ პირთა დასწრება ხდება მხოლოდ მათი საკითხის განხილვის დროს;
40. იმ პირთა სხდომაზე დასწრება, რომლებიც არ არიან მოწვეული, ხდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით;
41. სხდომა შესვენებების ჩათვლით შესაძლებელია გაგრძელდეს არა უმეტეს 4 საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გახანგრძლივდეს დამსწრე წევრთა უმრავლესობის თანხმობით.

თავი IX.

კენჭისყრის წესები

42. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია;

43. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა;

44. ფარული კენჭისყრის გამართვამდე წინასწარ, ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა უმრავლესობა საბჭოს წევრებისაგან ირჩევს ხმის დამთვლელ კომისიას სამი წევრის შემადგენლობით. ასევე დგინდება ბიულეტენების ფორმა (ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს) და კენჭისყრის ჩატარების პროცედურა;

45. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება;

46. კენჭისყრის შემდეგ ბიულეტენები ინახება სპეციალურ კონვერტში, რომელიც დაერთვის შესაბამის სხდომის ოქმს და ოქმთან ერთად ინახება აკადემიური საბჭოს სამდივნოში.

თავი X.

ოქმის წარმოება

47. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის ოქმს ადგენს აკადემიური საბჭოს მდივანი სხდომის მიმდინარეობის პროცესში განხორციელებული ჩანაწერის საფუძველზე. სხდომის მსვლელობა იწერება ტექნიკური საშუალებებით, ხოლო ჩანაწერი ინახება საბჭოს არქივში ელექტრონული სახით;

48. ოქმი ფორმდება წერილობით და მოიცავს:

– უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დასახელებას და ნომერს (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #..);

– სხდომის თარიღს, დაწყების დროს;

– სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას;

– დღის წესრიგს;

– სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს;

– განსახილველ საკითხზე წერილობით განმარტებებს, რომლებიც გადაეცემა მდივანს ოქმის დანართის სახით;

– ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე (სხდომის თავმჯდომარე) და აკადემიური საბჭოს მდივანი (სხდომის მდივანი).

თავი XI.

რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

49. აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.

თავი XII.

აკადემიური საბჭოს რეგლამენტის ძალაში შესვლა

50. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი ძალაშია აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამისი დადგენილების მიღებისთანავე.

საქართველოს აკადემიური საბჭოს რეგლამენტში რომელიც მიღებული იყო 19.12.08, (დადგენილება #61), ცვლილებები და დამატებები შევიდა 2011 წლის 22 თებერვალს, (დადგენილება # 405) და 2016 წლის 6 იანვარს (დადგენილება #1886)